

ნანა მრევლიშვილი

ეპლესიასტეს თარგმანებათა
გელათური ვარსია

თბილისი

2023

NANA MREVLISHVILI

**THE GELATIAN VERSION
OF ECCLESIASTES'
INTERPRETATIONS**

TBILISI

2023

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია ორი ბიზანტიული მამის, მიტროფანე სმირნელი მიტროპოლიტისა და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელი დიაკონის ეკლესიასტეს თარგმანებათა (განმარტება/კომენტირება) ქართული რედაქცია, რომელიც გელათის საღვთისმეტყველო სკოლის მთარგმენტობითი ხორმებითად შესრულებული. ეს ტექსტი ქართულმა მწერლობამ ერთადერთი ხელნაწერით (A61) შემოგვინახა. ხელნაწერი დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ტექსტის პუბლიკაციას ახლავს გამოკვლევა და ძველქართულ-ძველბერძნული დოკუმენტირებული ლექსიკონი.

უდრმესი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქალბატონ დამანა მელიქიშვილს, ამ წიგნის სულისხამდგმელს, და ქალბატონ მანანა სანაძეს – უანგარო დახმარებისა და თანადგომისათვის.

ვფიქრობთ, ნაშრომი საინტერესო იქნება ფილოლოგებისთვის, თეოლოგებისთვის, ქართველოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
დამანა მელიქიშვილი.

რეცენზენტები - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ლევან გიგინეიშვილი.
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თამარ პატარიძე.

ეკლესიასტეს თარგმანებათა გელათური ვერსია

The Gelatian version of Ecclesiastes' interpretations

Editor Doctor of Philological Sciences, Professor, Academician of Gelati Academy of Sciences **Damana Melikishvili.**

Reviewers Doctor of Philological Sciences, Professor **Levan Gigineishvili.**
Doctor of Philological Sciences, Professor **Tamar Pataridze.**

საქართველოს უნივერსიტეტის გამოცემლობა, © 2023.

The University of Georgia Publishing House, © 2023.

ყველა უფლება დაცულია.

ISBN: 978-9941-9807-6-3

საქართველოს უნივერსიტეტი, თამაზ ბერაძის სახელობის
ქართველოლოგიის ინსტიტუტი

The University of Georgia, Institute of Georgian Studies named after Tamaz Beradze

თბილისი 0171, მერაბ კოსტავას ქუჩა №77ა

ug@ug.edu.ge; www.ug.edu.ge

მინარესი

შესავალი	7
ეპლესიასტე და მისი კომენტატორები	9
ხელნაწერი A 61	26
მიტროფანე სმირნელი მიტროპოლიტი ოუ გრიგოლ აკრაკანტელი - ბიზანტიური ძეგლის ავტორობის საკითხისათვის	29
ძეგლის აგტორები - მიტროფანე სმირნელი და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელი	36
ძეგლის ბერძნული ხელნაწერები, რედაქციები და გამოცემები	39
ქართული თარგმანის სტრუქტურულ-ტექსტურული მიმართება ბერძნულ ორიგინალთან	44
ეპლესიასტეს ბიბლიური ტექსტის ქართული რედაქციები	76
ძეგლის მთარგმნელის საკითხი	81
ძეგლის ენობრივი თავისებურებანი	118
წყაროთა საკითხი	149
ეგზეგეზის მეთოდები და მათი გადმოცემის ტერმინოლოგიური თავისებურებანი	156
დროის კატეგორიის გამომხატველი ძირითადი ტერმინები	166
სტილისა და მისი გამოსახვის ტერმინოლოგიური თავისებურებების საკითხი	182
რეზიუმე	202
Summary	216
ღირსისა მამისა მიტროფანე ზმკრნელ მიტროპოლიტისა და ულკმპიოდორე დიაკონისა მიერ აღწერილი თარგმანებად ეპლესიასტისათვის - ტექსტი	227
ლექსიკონი	498
საკუთარ სახელთა საძიებელი	654
ბიბლიოგრაფია	658

შესავარი

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევას ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ამ ასპექტით ქართველ მეცნიერთა ინტერესი დღემდე შეუნელებელია, რამდენადაც ამ ურთიერთობებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართული სასულიერო მწერლობის განვითარებაზე. შეა საუკუნეების ქართული სასულიერო მწერლობის ამგვარ მიმართულებას ლიტერატურის ისტორია ელინოფილური მიმართულების სახელით მოიხსენიებს. ამ პერიოდის მოდვაწეებმა შექმნეს ახლებური, შინაარსობრივ-ფორმალური თვალსაზრისით განსხვავებული სტილი, რომელიც გულისხმობდა ზუსტ, ადეკვატურ თარგმანსა და შესაბამისი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიური აპარატის შექმნა/დამკიდრებას. სწორედ ამგვარი პრინციპებითაა თარგმნილი ეგზეგეტიკური ძეგლი „დირსისა მამისა ჩვენისა მიტროფანე ზმიუნელ მიტროპოლიტისა და ულუმპიოდორე დიაკონისა მიერ ადწერილი თარგმანებაზე ეკლესიასტისათვისაც“, რომელიც ბიზანტიური მწერლობის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი თხზულებაა. ქართულ მწერლობაში ეს ძეგლი ერთადერთმა ხელნაწერმა (A61) შემოგვინახა. იგი შეიცავს ეკლესიასტების ბიბლიურ ტექსტებსა და ორი ავტორის - მიტროფანე სმირნელისა და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის კომენტარებს ეკლესიასტებს ტექსტისა. გარდა ამ ორი ავტორის კომენტარებისა, ძეგლში გვხვდება სხვა ავტორთა თხზულებებიდან გამოკრებილი აზრები/კატეგორიები. ამის მიუხედავად, ძეგლს ერთიანი სტრუქტურულ-კომპოზიციური სახე აქვს. მთარგმნელი უცნობია.

ნაწილი ხელნაწერისა (მიტროფანე სმირნელის თარგმანება) გამოკვლევითურთ გამოსცა პ. კეკელიძემ 1920 წელს. ძეგლი მთლიანად, იმ სტრუქტურული თავისებურების დაცვით, როგორითაც ის ქართულ ხელნაწერშია წარმოდგენილი (ბიბლიური ტექსტი → მიტროფანეს კომენტარი → ოლიმპიოდორეს კომენტარი), ქვეყნდება პირველად.

იკრესიასტე ღა მისი პომინიათორები

ბიბლიის პოეტიკა, რომლის კონტექსტშიც ძევს ძველი ადმოსავლური აზროვნება, მნიშვნელოვნად განსხვავდება ანტიკური, კლასიკური კულტურისაგან. მისი დასავლეთ კულტურასთან დაახლოების მიზნით ლათინელი და ბერძენი ავტორები ქმნიდნენ ბიბლიურ პარაფრაზებს, რის-თვისაც იყენებდნენ პეგზამეტრს და ლექსთწყობის სხვა კლასიკურ სახეებს. შედეგად ყალიბდებოდა ახალი პოეტური ფორმები.¹

ძველი ადთქმა კანონიკური და არაკანონიკური, სხვაგვარად – კანონიკური და აპოკრიფული წიგნებისაგან შედგება. კანონიკურ წიგნებს ებრაელი ხალხი საუკუნეების (ძვ. წ. ად.-ით XIII-XII ს.) მანძილზე ქმნიდა. არაკანონიკური წიგნების წარმოშობა-გავრცელების საკითხი ბოლომდე გარკვეული არ არის. ფ. ვიგურუ მიუთითებდა: „ჩვენ ისიც არ ვიცით, რა ნიშნების მიხედვით ასხვავებდნენ ძველ ადთქმაში კანონიკურ წიგნებს არაკანონიკურისაგან.“² არაკანონიკური წიგნები ებრაული ბიბლიის შედგენილობაში არ გვხვდება. ამ წიგნებს არ ასახელებს არც იოსებ ფლავიოსი, ახ.წ.ად.-ით I საუკუნის მოდგაწე, რომელსაც მოცემული აქვს სრული სია ძველი ადთქმის წიგნებისა ებრაულ ენაზე. ამ სიაში მხოლოდ კანონიკური წიგნებია დასახელებული.³

ბიბლიური კანონიკური წიგნებიდან ეკლესიასტე ყველაზე გვიანდელი ნაწილია ძველი ადთქმისა. ჯერ კიდევ XVII ს.-ში ბიბლიის მკვლევარი ჰუგო გროცი ყურადღებას ამახვილებდა⁴ ეკლესიასტეს ენობრივ თავისებურებებზე, რომლებიც განასხვავებდა მას სოლომონის ეპოქის ენისაგან. ებრაულად წიგნს პქვია „წიგნი მქადაგებლისა (divere qoheleth), დავითის ძისა, იერუსალიმის მეფისა.“ სიტყვა qoheleth (კოპელეთი), როგორც მიუთითებენ, წარმოადგენს ფორმა Qal-ის მხოლობითი რიცხვისა და მდედრობითი სქესის მიმღეობას, რომელიც ნაწარმოები უნდა იყოს qahal ძირიდან. ეს ფორმა გვხვდება, აგრეთვე, შეკრების (Hipl'il) მნიშვნელობით. ზუსტი შინაარსი ამ სიტყვისა ბოლომდე არ არის გარკვეული. უფრო

1 Библейская наука. Кн.1: Очерк истории толкования Библии, Тула, 1898.

2 Ф. вигуру, Руководство к чтению и изучению Библии, перевод с последнего (12-го) французского издания с дополнительными примечаниями и указателями русской библейской литературы, СПБ, В. В. Воронцова, москва, 1916, стр. 46 – ციტატი დამოწმებული გვაქვს ც. ქურციკიძის ნაშრომიდან ძევლი ადთქმის აპოკრიფული წიგნების ქართული ვერსიები, II, თბ. 1973, გვ. 11.

3 ც. ქურციკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

4 ი. დან Кон-Шервокю Иудаизм и Христианство (словарь), М., 1995.

სარწმუნო ვერსიით, ეს ფორმა უნდა აღნიშნავდეს ადამიანს, რომელიც ერთად უყრის თაგს საზოგადოების წევრებს, ანდა სიტყვით მიმართავს მათ.¹ სეპტუაგინტაში ის თარგმნილია ფორმით Ekklesiastes, აქედან იღებს საფუძველს მისი დასათაურებაც. იერონიმე მას თარგმნის ფორმით Concionator (ე.ი. ის, ვინც კრებს საზოგადოების წევრებს). ამგვარად, სიტყვა qoheleth აღნიშნავს პირს, რომელიც სიტყვით მიმართავს საზოგადოებას და, აქედან გამომდინარე, ითარგმნება ფორმით მქადაგებელი.²

ავტორის ნამდვილი სახელი წიგნში არ არის ნახსენები.³ ფრაზით - სიტყუანი ეკლესიასტების, ძისა დავითისნი, მეფისა ისრაელისანი - ვარაუდობენ, რომ საუბარია სოლომონზე და ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი ამ წიგნის ავტორად სოლომონს მიიჩნევს. მაგრამ ამ მოსაზრებამ მეცნიერებს შორის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, მკვლევართა უმრავლესობა და ორთოდოქსული ეკლესიის წარმომადგენლები თვლიან, რომ სოლომონი არ უნდა იყოს ამ წიგნის ავტორი რამდენიმე მიზეზის გამო:

1. ტექსტში სოლომონის სახელს ვერსად ვხვდებით. ვერ ვხვდებით, აგრეთვე, მითითებას, რომ სოლომონია წიგნის ავტორი.
2. სოლომონის ყველა წიგნის სათაურში მოხსენიებულია მისი სახელი. აქ კი სახელის ნაცვლად გვაქვს უჩვეულო სიტყვა - კოპელეთი.
3. ამავე დროს, ფრაზა - ძისა დავითისნი, მეფისა ისრაელისანი - უნდა მიუთითებდეს სოლომონზე. მაგრამ რა იგულისხმება ამ სიტყვებში? ფიქრობენ, რომ ამ ფრაზის გამოყენების მიზანი არ უნდა იყოს წიგნების ავტორად სოლომონის დასახელება. მით უმეტეს, რომ სოლომონი სიბრძნით განთქმული იყო და ამიტომ ის აქ მოიხსენიება, როგორც ბრძენი ადამიანი, რომელსაც შეუძლია გამოთქვას ის, რასაც ასე სიღრმისეულად ფლობს და, რასაც ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს უფლის რჩეული ერისათვის. ამგვარად, აქ სიბრძნე განსახიერებულია ადამიანში და ეს ადამიანი არის სოლომონი. მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აქ ავტორი მიმართავს ლიტერატურული მისტიფიკაციის ხერხს,

1 ამის შესახებ მინიშნებას ვხვდებით მცხეთურ ბიბლიაშიც, რომელშიც ეკლესიასტებს ორი ტექსტია მოთავსებული და რომლის სათაურიც ამგვარად იკითხება: ეკლესიასტე, რომელსა ებრაელებრ კუთლეთე ეწოდების. მცხეთური ხელნაწერი, თბ. 1985; გვ. 45.

2 Источники Христианство (словарь). М., 1996.

3 წიგნის ავტორისა და კომპოზიციის შესახებ იხ.: Источники Христианство (словарь). М., 1996; Библейская энциклопедия, Издание Свято-троице-Сергиевой Лавры, 1990; Священник А. Мень; Библиологический словарь. СПБ., 2002.

მკვლევართა ნაწილი კრიტიკულად განიხილავს.

4. მეთექვსმეტე მუხლში (ვთქუ გულსა შინა ჩემსა თქუმაი, აპა, მე განვდიდენ და შევძინე სიბრძნე კოველსა ზედა, რომელიც იყვნეს უწინარეს ჩემსა იცრუსალიმს შინა - I. 16), მკვლევართა დასკვნით, საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებიც მანამდე მეფობდნენ იერუსალიმში. ამის გამოც სოლომონის ავტორობის ვერსიას საფუძველმოკლებულად მიიჩნევენ. ეკლესიასტები მითითებულია მხოლოდ სამეფო ქალაქი იერუსალიმი, ამგვარი შემოსაზღვრაც არადამაჯერებელი ჩანს. ნაკლებად სარწმუნოა, რომ ავტორი (თუ ეს იყო სოლომონი) ამ სახით გაუტოლებდა თავს წინამორბედებს, ანდა ამ ჩამონათვალში მოიხსენიებდა თავის მამას – დავითს. მკვლევარები ასკვნიან, რომ ავტორი ცხოვრობდა სოლომონის მეფობის შემდგომ პერიოდში.
5. ეკლესიასტეს მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ, აგრეთვე, I.12 მუხლზე, სადაც ავტორი ამბობს: „მე, ეკლესიასტე, მეფე ვიყავ ისრაელისად, იცრუსალიმს შინა.“ ზმნის ფორმა, რომელიც წარსულ დროშია მოცემული, მიუთითებს, რომ ის ახლა უკვე ადარ არის მეფე. შესაძლოა ზმნა *hayithi* ითარგმნოს – „მე ვიყავი და დღემდე ვრჩები...“ მაგრამ ამგვარი თარგმანი უთუოდ ხელოვნური იქნება. მოყვანილი მუხლის მიხედვით ასკვნიან, რომ ავტორი მეფე იყო, მაგრამ იმ მომენტში, როდესაც ის ამ წიგნს წერს, მეფე ადარ არის. სოლომონი კი, როგორც ცნობილია, სიცოცხლის ბოლომდე მეფობდა.
6. მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ, აგრეთვე, წიგნის ისტორიულ ფონზე, რომელიც არ შეესაბამება სოლომონის ეპოქას. ეს არის უბედურებისა და ამაოების ეპოქა (I.2-11). ისრაელისათვის დადგა კვდომისა და უიმედობის დრო (III.1-15), ყველგან უსამართლობა და ძალადობა მეფობს (IV.1-3), ზეიმობს წარმართული ტირანია (V.7,9-19).

წიგნის ენა და სტილი, როგორც მიუთითებენ, შეესაბამება სოლომონის მეფობის შემდგომი ეპოქის ხასიათს, მაგრამ არა ტყვეობამდელს, არამედ - ტყვეობის შემდგომს. ძეგლში დასტურდება არამეიზმები, რის გამოც ძეგლის დაწერის დროდ მალაქიას ეპოქას ვარაუდობენ. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ძეგლის პოლიტიკური ფონი და წარმართული ხანის ის თავისებურებები, რომლებიც ვლინდება ნაწარმოებში.

თალმუდში (Baba Bathratis) მითითებულია, რომ ეკლესიასტეს წიგნი დაწერეს ეზეკიამ და მისმა ხალხმა. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თალმუდი სოლომონის ავტორობას უარყოფს. აქ აღბათ საუბარი უნდა იყოს იმის შესახებ, რომ ეზეკიამ და მისმა ხალხმა მოახდინეს ტექსტის რედაქტირება. ადრექტისტიანული და იუდეისტური გადმოცემები ამ წიგნს სოლომონს მიაკუთვნებენ. მკვლევართა ნაწილი კი, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ამ აზრს ეჭვქვეშ აყენებს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, წიგნი ნამდვილად სოლომონის დაწერილია და შემდეგ გადაამუშავეს და გაამდიდრეს დამატებითი მუხლებით. ამ სარედაქციო საქმიანობაში, შესაძლოა, რამდენიმე რედაქტორი მონაწილეობდა, ან რედაქციის მირითადი ნაწილი მოგვიანო საუკუნეებშია შექმნილი.

მკვლევარები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ წიგნის ავტორი ცხოვრობდა სოლომონის შემდგომ ეპოქაში, მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ეს ეპოქა აუცილებლად ტყველის შემდგომი ხანაა. მაგრამ კონკრეტულად რომელი წლებით შეიძლება განისაზღვროს დაწერის თარიღი? აქ აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი მკვლევარი იხრება ვარაუდისაპერ, რომ წიგნი ჩვ. წ. აღ.-ძე 200 წელს დაიწერა, რადგან, როგორც ამ მოსაზრების მომხრეები მიიჩნევენ, წიგნს აშკარად ეტყობა ელინისტური ფილოსოფიური აზროვნების კვალი. სხვანი წიგნს ჩვ. წ. აღ.-ძე 100 წლით ათარიღებენ. ზოგიერთი მკვლევარის აზრით კი, წიგნი, შესაძლოა, ჰეროდე დიდის ეპოქაში იყოს დაწერილი.¹

აზრთა სხვადასხვაობაა, აგრეთვე, ძეგლის კომპოზიციურ მთლიანობასთან დაკავშირებით. ზოგიერთი წმინდა მამა (გრიგოლ დიდი, გრიგოლ ნეოკესარიელი, გრიგოლ ნოსელი, იერონიმე), შუა საუკუნეების მწერლები (ბონავენტურა, თომა აქვინელი) მიიჩნევენ, რომ წიგნი თავისთავად წარმოადგენს დიალოგს, რომელშიც განხილულია სხვადასხვა პრობლემა. მაგრამ ამ აზრის მომხრეები არ უარყოფენ ნაწარმოების კომპოზიციურ მთლიანობას. მკვლევართა ნაწილის აზრით, XII.13-14 ნაწყვეტები არის დამატება, რომელიც ჩართულია იმ მიზნით, რათა წიგნის ჭეშმარიტი, ნამდვილი შინაარსი დაფარონ (ამავე მიზეზით ეტყვებათ, რომ XI.9 და XII.1;7 ნაწყვეტები ავტორისეულია). საწინააღმდეგოდ ამისა, მკვლევართა მეორე ნაწილი ამგვარი ვარაუდის საფუძვლად ეკლესიასტეს სწავლების არასწორ გაგებას მიიჩნევს.

მკვლევარები საუბრობენ, აგრეთვე, ბერძნული ფილოსოფიის გავლე-

1 Якимов И.С., О происхождении Кн. Екклесиаста, ХЧ, 1887, № 3/4.

ნის შესახებ ეკლესიასტებს ავტორის მსოფლმხედველობაზე და ცდილობებზე პარალელური დამებნონ როგორც არისტოტელებსა და პერაკლიტეს ფილოსოფიასთან, ასევე – სტოიციზმისა და ეპიკურიზმის წარმომადგენლების მსოფლმხედველობასთან. სხვანი თვლიან, რომ ეს პარალელური ისეთივე ხელოვნურია, როგორიც პარალელური ეგვიპტური და წარმართული სამყაროს სხვა კულტურულ მემკვიდრეობასთან. გარდა ამისა, არსებობს შესედულება, რომლის მიხედვითაც ეკლესიასტე შორდება ევანგელურ აზროვნებას. მიიჩნევენ, რომ წიგნი არის უბრალო ადამიანური აზროვნების ნიმუში და წარმოადგენს საუკეთესოს, რაც კი შეიძლება მოიაზროს ადამიანმა. წიგნის სწორი გაგებისათვის გასაღებს იძლევა შემდეგი სიტყვები: „დასასრული ყოვლისა სიტყვსად ისმინე, ღმრთისა გეშინოდენ და მცნებანი მისნი დაიცვენ, რამეთუ ესე ყოველსა კაცსა, რამეთუ ყოველი ქმილი მიყვანოს ღმერთმან საშჯელად ყოვლისა თანა უდებ-მყოფელისა, გინა თუ კეთილ იყო, გინა თუ ბოროტ.“ ავტორის აზრით, ადამიანს არ შეიძლება პქონდეს უფრო დიდი მიზანი, ვიდრე ეს მიზანია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მისაღწევი მიზანი ნათელია, ადამიანი შორსაა მისგან. ეკლესიასტეს სწავლების მიხედვით, ღმერთმა ადამიანი შექმნა სრულყოფილი, მაგრამ იგი ცოდვით დაცემის შემდეგ დაშორდა პირველხატს, პირველიდეას, პირველსაწყისს. სხვაგვარად, ადამიანმა თვითონვე ხელყო ის პირველსახე, რომლითაც შექმნა იგი ღმერთმა. წარმართულ ბერძნულ ფილოსოფიაში ამგვარი აზროვნების ნიმუშს ვერსად ვხვდებით. ამდენად, უფრო მართებული ჩანს ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ჩვენ წინაშეა წმინდა ბიბლიური აზროვნება, აზროვნება ადამიანისა, რომელსაც აქვს მდიდარი და მრავალმხრივი გამოცდილება.

ძირითადი თემა წიგნისა გამოტანილია მე-2 და მე-3 მუხლებში, რომლებშიც ავტორი შენიშნავს, რომ ყველაფერი ამაოა. მომდევნო თავები იმის მტკიცებაა, რომ მთელი სამყაროა ამაო იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ცხოვრობს ღმერთის გარეშე.

წიგნი თემატიკის მიხედვით ოთხ ძირითად მონაკვეთად იყოფა:

1. შესავალი, რომელშიც ავტორი ზოგადად მსჯელობს ამაოებაზე.
2. ამაოება ამაოებათა – ამაოა ადამიანი სწრაფვა სიბრძნის დაუფლებისადმი, ამაოა სიმდიდრე, უუფუნება, განცხრომა. ფუჭიდა და ამაო ადამიანის ძალისხმევა კეთილდღეობის მოსაპოვებლად. ადამიანი ყოველთვის არ შეიძლება დატკბეს თავისი შრომის ნაყოფით. ჯობს იყო დარიბი და ბრძენი, ვიდრე - მდიდარი და უგუნური. ადამიანი უნდა ისწრაფოდეს იყოს მსგავსი თავისი პირველხატისა.

3. ავტორი იძლევა რჩევას, თუ როგორ უნდა იცხოვოს ადამიანმა: ყველა ადამიანი ცოდვილია, მაგრამ ბრძენის ძალა სიბრძნეშია. აქვე გამოთქმულია მოსაზრება სამყაროს წყობისა და მასთან ადამიანის დამოკიდებულების შესახებ.
4. ეპილოგი – ავტორი კიდევ ერთხელ უბრუნდება ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობის თემას - ადამიანს უნდა ჰქონდეს დვთის შიში და სიყვარული, უნდა მისდევდეს და იცავდეს დვთის მცნებებს.

ეკლესიასტებს წიგნი, როგორც ვთქვით, ბიბლიურ კანონიკურ წიგნებს განეკუთვნება. ბიბლია, ქრისტიანული ორადიციის მიხედვით, შედგება იუდეისტური კანონის 50 წიგნისაგან, რომლებმაც ძველი აღთქმის სახელწოდება მიიღეს და ბიბლიის პირველ ნაწილს წარმოადგენენ, და 27 წიგნისაგან ახალი აღთქმის სახელწოდებით. ახალი აღთქმა, გარდა ოთხი სახარებისა, შეიცავს საქმე მოციქულთას, მოციქულთა ეპისტოლეებსა და აპოკალიფს (იოანეს გამოცხადება). ახალი აღთქმის წიგნები დაიწერა ბერძნულად და ცნობილია რამდენიმე რედაქციით.

IV საუკუნის დასასრულს ქრისტიანული ბიბლიის კანონიკა უკვე საბოლოოდ გაფორმდა და მასში შემავალი წიგნების შედგენილობა დამტკიცდა 363 წ. ლავდიკის საეკლესიო კრებაზე. ამავე დროს ითარგმნა ბიბლია სხვადასხვა ენაზე. ამ თარგმანებიდან ყველაზე პოპულარული იყო ლათინური კულტურა.

წმინდა წერილის წიგნების კანონიზაცია, მისი შედგენილობის დადგენა და გამყარება რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. თორამ კანონიკური სახე ჩვ.წ.აღ.-მდე V საუკუნეში მიიღო. წინასწარმეტყველთა წიგნების კორპუსი გაფორმდა ჩვ.წ.აღ.-მდე II საუკუნის დასაწყისში. აგიოგრაფთა შედგენილობა დამტკიცდა ჩვ. წ. აღ.-ით I საუკუნეში. თანახმი შემავალი წიგნების ბერძნულად თარგმნა (სეპტუაგინტა) დასრულდა 100 ჩვ.წ.აღ.-მდე.¹ ამასთან, ცალკე დარგად ყალიბდება ბიბლიური წიგნების განმარტება-კომენტირება - ეგზეგეტიკა.

ბიბლიური წიგნების კომენტირებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ.

მართლმადიდებელი ეგზეგეტიკოსების აზრით, იმისათვის, რომ გავიგოთ ბიბლია, საჭიროა მისი შესწავლა ოთხი ასპექტით:

1. ისტორიული ანუ „ბუბკალური“ (პირდაპირი).

¹ Библейская энциклопедия, Издание Свято-троице-Сергиевой Лавры, 1990.

2. ალეგორიული ანუ ტიპოლოგიური.
3. ტიპოლოგიური ანუ ეთიკური.
4. ანაგოგიური ანუ მისტიკური.

ოთხივე ეს ასპექტი მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან, ურთიერთშეპირისპირებულობით მოიცავს ერთმანეთს და მათი დანიშნულება ერთი მთლიანისა და დასრულებულის განმარტება.¹

წმინდა წერილის განმარტების ებრაული ტრადიცია, სავარაუდოდ, უნდა მომდინარეობდეს ეზრას პოლიტიკური მონარქიის მინიჭებულებით. თორა (მოსეს კანონი) მოითხოვდა გარკვეულ ინტერპრეტაციას. ამის გამო წარმოიშვა ჯგუფი მწიგნობრების სახელწოდებით. ისინი იყვნენ მასწავლებლები და კომენტატორები მოსეს კანონისა. თუმცა, ასეთი მნიშვნელოვანი ამოცანა არ შეიძლებოდა მხოლოდ ცალკეული კომენტატორების, თუნდაც, ნიჭიერი მოაზროვნების მეშვეობით განხორციელებულიყო. ამიტომ დროთა განმავლობაში შეიმუშავეს ფორმალური პრინციპები, განმარტების წესები; ჩამოყალიბდა ეგზეგეტიკოსთა სკოლები.

შუასაუკუნეების ფილოსოფია კომენტატორული ფილოსოფიაა. ძირითადად კი ეს ეხებოდა წმინდა წერილს. წმინდა ტექსტების განმარტებისას ფილოსოფოსების მსჯელობა იყო არა ანალიტიკური და კრიტიკული, არამედ - ეგზეგეტიკური ხასიათისა. შუასაუკუნეების ფილოსოფიური აზროვნების სტილი გულისხმობს ანონიმურობისაკენ სწრაფვას. ამასთან, მისი უმთავრესი ასპექტია დიდაქტიზმი, ხოლო გადმოცემის ფორმა – მონოლოგი.

შუა საუკუნეების ფილოსოფიის დიფერენცირება ხდება შემდეგი სწავლებების მიხედვით:

1. კრეაციონიზმი – სწავლება ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის ჟესახებ.
2. პროვიდენციალიზმი – კაცობრიობის ისტორიის, როგორც ღმერთის მიერ ადამიანის ხსნისათვის წინასწარგანჭვრებილი პროცესის გააზრება.
3. სოტერიოლოგიზმი – ადამიანის ორიენტირება სულის გადარჩენაზე.

ამასთან, შუასაუკუნეების ფილოსოფიური აზროვნება ხასიათდება რეტროსპექტულობით (წარსულზე ორიენტირებით) - „რაც უფრო ძველია,

¹ Библейская наука. Кн.1: Очерк истории толкования Библии, Тула, 1898.